



საჯარო სამართლის იურიდიული პირი-

განათლების ხარისხის განვითარების
ეროვნული ცენტრის დირექტორის
ბრძანება № 233

03 04 2017.

ქ. თბილისი

„პროფესიული სტანდარტის, საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის და მოდულის
შემუშავების წესის დამტკიცების შესახებ“ საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების
ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის №733
ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი)
პროფესიული და უმაღლესი განათლების დარგობრივი საბჭოების ადმინისტრაციული
მხარდაჭერისა და შესაძლებლობების გაძლიერების ხელშეწყობის პროგრამის მენეჯერის 2017 წლის
24 მარტის №285868 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით, საქართველოს ზოგადი
ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების
მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის №89/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის
მინისტრის 2016 წლის 04 აგვისტოს №733 იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დებულების“ მე-5
მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის საფუძველზე,
მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. განხორციელდეს ცვლილება ცენტრის დირექტორის 2016 წლის 04 აგვისტოს №733
ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული სტანდარტის, საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო
დოკუმენტის და მოდულის შემუშავების წესში“ და:

- ა) მე-10 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„2. დარგობრივ საბჭოზე პროფესიული სტანდარტის/ჩარჩო დოკუმენტის/მოდულის
განხილვისას შესაძლებელია გამოიკვეთოს მათში ცვლილებების განხორციელების საჭიროება, რაც
იწვევს პროფესიული სტანდარტის/ჩარჩო დოკუმენტის/მოდულის გადამუშავებასა და დარგობრივ
საბჭოზე ხელახლა განხილვას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც შესაბამის დოკუმენტში შენიშვნების
გათვალისწინება და ცვლილების ასახვა ხდება საბჭოს სხდომის მიმდინარეობის პროცესშივე.“
განხილვის შემდეგ დაცვით შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარისის 2¹ პუნქტი:
- ბ) მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარისის 2¹ პუნქტი:
„2¹. იმ შემთხვევაში, თუ ჩარჩო დოკუმენტში კრედიტების მოცულობის ცვლილება გამოწვეულია
ზოგადი მოდულების კრედიტების მოცულობის ცვლილებით, ჩარჩო დოკუმენტში კრედიტების

მოცულობის ცვლილება შეიძლება განხორციელდეს შესაბამისი მიმართულების დარგობრივი საბჭოს
სხდომის ჩატარების გარეშე, ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებების გამოყენების გზით, იმ
შემთხვევაში, თუ საბჭოს რეკომენდაცია დაფიქსირებულია წერილობითი ფორმით და მას ეთანხმება
საბჭოს სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.“

2. დაევალოს ცენტრის საქმისწარმოების სამმართველოს ბრძანების დაინტერესებული

პირებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის უზრუნველყოფა.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ
დადგენილ ვადაში და წესით.

დირექტორი



თამარ სანიკიძე